გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ზ ე თ ი 1877—1891

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** სთხოვს ტრაქტირების, საჭმელების დუქნებისა და ბაკების პატრონთ ტფილისში, მობრძანდნენ გამგეობის სადგომში პირველნი ამა წლის ენკენისთვის 9-სა, ხოლო უკანასკნელნი 10-ს რიცხვსა მომავალის ოთხის წლის 1892—1895 წლებისათვის თავიანთ შორის დეპუტატების ასარჩევად, ტრაქტირების შესახებ დებულების მე-22 და 56 §§-ის თანახმად. (3—109—1)

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში**: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი გუშინ ტფილისიდამ კოჯორს გაემგზავრა და იქ ზაფხულის გასვლამდე დარჩება.

*** ამ უკანასკნელს დღეებში საითაც არ მისდგებით, ყველგან ჩვენის მილის წყლის შესახებ დიდი ლაპარაკია. საქმე იმაშია, რომ ამ ზაფხულს ქალაქს მილის წყალი აღარა ჰყოფნიდა, რის გამოც აღარც ქუჩებსა რწყავდნენ და ზოგიერთ ალაგას მტკვრის წყლის ზიდვის ნებაც დართეს. ამ უკანასკნელს კვირაში ხომ მილიდამ ისეთი წყალი გამოდის, რომ ძაღლიც-კი არ დალევს: ეს წყალი-კი არ არის, რადაცა გათქვეფილი ტალახია და ნაცარტუტის წყალი. ამას გარდა, ამ უკანასკნელს დღეებში რამდენისამე „კრანიდამ“ წყალს რაღაც წურბელები და მატლები გამოჰყვა და შესაძლებელია ასეთმა წყალმა სხვა-და-სხვა სენიც გაავრცელოს. საიმპერატორო კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია და ამ ახლო ხანში ამ საზოგადოებას ექნება კრება, რომელზედაც უნდა გაიხილოს ეს საქმე და თავისი აზრი ქალაქის გამგეობასა და ტფილისის გუბერნატორს შეატყობინოს.

*** კავკასიის შესასწავლად ამ თვის 21 ტფილისში ჩამოვიდა ორი ნასწავლი ფრანგი, ემმანუილ მალლე და ეინე სანდპირო.

*** ოთხშაბათს, ამ თვის 21, პოლიციამ დააპატიმრა ოსმალეთის ქვეშევრდომი ხოსროვ ქურქჩიანცი, რომელსაც კაცის კვლა ჰბრალდება. ამ დღეს გუქაზ ასატუროვ-სანდრიკოვმა, რომელიც სერგიევის ქუჩაზე სცხოვრობს, პოლიციას გამოუცხადა, რომ ქალაქ ბითლისიდამ (ოსმალეთიდამ) ჩამოსულთა მიამბეს, რომ ქურქჩიანცს მოუკლავს ბითლისში ჩემი ძმა ოჰანეზ სანდრიკოვი და ეხლა ტფილისში იმალება. პოლიციის ბოქაულმა ბარათი მისცა პოლიციის მოხელეს სახელზე, რომ შეიპყრე ის კაცი, ვინც სანდრიკოვმა გიჩვენოსო. შეპყრობილსა და დაპატიმრებულს ქურქჩიანცს ოსმალეთში გაჰგზავნის ჩვენი პოლიცია და ოსმალეთის სამართალში მისცემს.

*** ოთხშაბათს ღამით ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ახლად დანიშნული უფროსი თავმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა ედუარდ ედუარდის ძე ფონ-ვენდრიხი.

*** ქალაქის თავს, თავ. ნ. ვ-ძეს არღუთინსკი-დოლგორუკის, რომელიც ამ ჟამად ბორჯომში იმყოფება, ამ თვის 26 მოელიან ქალაქს.

*** საბჭოს მიერ ამორჩეულმა კომისიამ განიხილა მეპურეების სათხოვარი გამომცხვარ პურზედ ნიხრის მომატების შესახებ და საჭიროდ დაინახა ნიხრის მომატება ყველა ხარისხის გამომცხვარ პურზედ, გირვანქაზედ ნახევარ კაპეიკისა, ასე რომ დღეის შემდეგ პური ეღირება: ფურნისა 5, $3^1/_2$ და 3 კაპ. გირვანქა; თონისა: 5, 4 და $3^1/_2$ კაპეიკი, ხოლო ლავაში 1-ხარისხისა 7 კაპ. გირვანქა და მე-2 ხარისხისა—4 კაპ.

*** ტფილისის საკადეტო კორპუსში წელს თავისუფალი ადგილი ყოფილა 46, ხოლო მსურველები-კი 115 კაცია, რომელთაც შესასვლელ ეგზამენის დაჭერა ჰსურთო.

*** ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის ზედამხედველებსა და მათ თანაშემწეთ მთავრობისაგან მინიჭებული აქვთ მედალი, რომელიც ყოველმა მათგანმა აუცილებლად უნდა ატაროს იმ დროს, როცა ქალაქის ბაზრებში დადიან და თავის მოვალეობას ასრულებენ. თუმცა ამისთანა მედალი ყველა მათგანს ჰქონდა აქამომდე, მაგრამ დიდრონი და დასატარებლად ძნელი იყო. ამიტომაც ქალაქის გამგეობამ ახალი მედალი შეუკვეთა თავის იჯარადარს ტაუგლიხს, რომელმაც ამ დღეებში უკვე წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას საჭირო რიცხვი მედალისა. მედალი წინანდელზე გაცილებით მომცროა, მოხდენილი და კოხტა, მოვერცხლილის სპილენძისა, ამასთანავე ძეწკვითაა, მხოლოდ ერთ პირზედ, სადაც ქალაქ ტფილისის გერბი უნდა იყოს გამოსახული, ამის მაგიერ ტფილისის გუბერნიის გერბია გამოყვანილი.

*** რიყის დალალებმა კიდევ ისახელეს თავი. ოთხშაბათს, 21 მარიამობისთვეს, იქ მისულა შორაპნის მაზრის, სოფ. იმაწმინდის მცხოვრებელი უფლისა წიგნაძე და ორი ხარი უვაჭრია დალალებისაგან. მორიგებულა ექვს თუმნად და ფულიც მიუცია, ხოლო საქონლის წასაყვანად სალამო ხანი დაუნიშნავთ. რაღაც ბარათიც ჩამოერთვა წიგნაძეს დალალებისათვის და როცა სალამოს მისულიყო, ხარები აღარ აღმოჩნდა, „ნავთლუღში გაურეკიათ და მოვრეკავთო“, უთხრეს დალალებმა. ეს მეორე დღეა მოერეკებიან და ვერ მოურეკიათ და, ვგონებთ, დიდხანს უნდა ელოდოს წიგნაძე, თუ საშუალება რამ არ იხმარა...

*** ყვავილით ავადმყოფობა მეტად გახშირდა ამ ბოლოს დროს ჩვენს ქალაქში და ეხლა, როცა ყველა სასწავლებლის კარი იღება და მოსწავლეთა რიცხვი დღე-დღეზედ მატულობს აქაურს სასწავლებლებში, ეს გარემოება დიდად საფიქრებელი და, თუ გნებავთ, საშიშიც არის. თუ ამ თავითვე საშუალება არ იქმნა მიღებული, საბოლოოდ, ვინ იცის, რამდენს უბედურებას შეგვამთხვევს.

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ამ

## ფელეტონი

### რჩა-წითელი

(ვოდევილი ერთ მოქმედებად)

ფრანგულიდგან გადმოკეთებული

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 176)

#### სცენა XVI.

იგინივე და ივანოვი

ივანოვი. უკაცრაოდ გახლავართ!...

გიქუა. (სწვდება ყელში) როგორ თუ უკაცრაოთ!... ჰაი, შე ყურუმსაღო, შენა! უკაცრაოთო!... აქაც რომ ჩამოსულა, ამ უფსკრულში და ფეხ-და-ფეხ მოსდევს ამ საცოდავ დედაკაცსა, რომ აქაც არ მოვასვენოვო!...

ივანოვი. აი!... აი!... ყარაულ!... მომკლეს!... რათა მკლავ, კაცო, რა დაგიშავე?

გიქუა. როგორ თუ რა დამიშავე!... მეტი რაღა უნდა გექნა?... ოჯახი შეგვირცხვინე, შე უნამუსო, შენა, და იძახი—რა დაგიშავეო!...

ივანოვი. ღმერთი, რჯული, მე შენი ცოლისთვის ცუდი არა მითქვამსრა. რა ვქნა, მიყვარს შენი ქალი და ვთხოვე ხელი. ამისთვის უნდა მომკლათ?

გიქუა. (ხელს გაუშვებს) თუ ღმერთი გწამთ? იქნება მართლა?! ვაი შენ ჩემო თავო!

ივანოვი. მე... ბესედკასთან რომ მივედით, ბაღში, დაუჩოქე ელისაბედსა და შევეხვეწე—თქვენი ქალი მე მომათხოვეთ მეთქი...

გიქუა. აი ამბავი თუ გინდათ, ეს არის!... (თავისთვის) ბიჭოს, ესეც შენი მესამე სასიძო! (ცოლს რაყოკით) თქვენ ერთმანეთისა ვერა გაგიგიათრა: თურმე ამას ანეტას ეშხი მოჰკიდებია და შენ-კი გგონებია, ჩემთვის იწვება კაციო!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. რა სეირია, თქვენი ჭირიმეთ-და!...

ელისაბედი. სულაც არა!... თავს იმართლებს. მაგას ჩემი ჭირი სჭირს!...

ივანოვი. რაღა თქმა გინდათ. ვერა ჰხედავთ, რომ თქვენი ცოლი ბებერია?

გიქუა. (ცოლს რაყოკით) აგერ იძახის—შენი ცოლი ბებერიაო.

ივანოვი. თანაც ეგ ისეთი ყრუა, როგორც ქვევრი.

გიქუა. (ცოლს რაყოკით) თანაც ისეთი ყრუა, როგორც ქვევრიო.

ელისაბედი. (მიჰვარდება ივანოვს გაგაპასებული) მიჰქარავ, შე უსირცხვილო, მიჰქარავ!.. (აღშფოთებული გავარდება ბაღზე და წავა).

#### სცენა XVII.

გიქუა და ივანოვი.

გიქუა. მაშ სიტყვა ჩემს ანეტაზე იყო?. უკაცრაოთ, გეთაყვა... ნუ გეწყინებათ... ბოდიშს ვიხდი... უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენისთანები იქ ორნი კიდე სხვები მყავანან.

ივანოვი. როგორ თუ ჩემისთანები? ვინ არიან!..

გიქუა. ორიც სხვა სასიძო მყავს... თქვენით სამი შეიქმნა... ეხლა მე დავი აღარა მაქვს... თქვენ იცით და ჩემმა ქალმა... მე ხელი დამიბანია. დეე ამან თითონ ამოარჩიოს, ვინც მოეწონება თქვენში (მივა გვერდის კართან და იძახის) ივანიკა! ბიჭო!.. ივანიკა!..

ხმა ივანიკასი. რა გნებავთ, ბატონო?

გიქუა. წადი, ბარიშნას მოახსენე, ჩამოვიდეს... ბოთლების სარეცხად-კი არა-თქო... ბოთლებს აღარ უნდა რეცხვა-თქო... უთხარი—მოდი-თქო, აქ შენი ბედი და იღბალი უნდა გადასწყდეს-თქო. (ივანოვს) გეთაყვა, გაირჯებით-კია, მაგრამ ცოტახნით თავი-ღვინის ოთახში მიბძანდით. კარგა ხანია, რაც იქ თქვენი მოქიშპეები მისხედან, თქვენც იმათთან მიბძანდით...

ივანოვი. (თავისთვის) სასაცილოა, თქვენმა მზემ!.. მოქიშპეები პადვალში მისხედან და შენც იქ უნდა შეხვიდე იმათთანაო!.. ძალიან უცნაური კაცი-კი ყოფილა ეს გიქუა!.. რაზე დამარჩობდა წელან!.. თქვენ ელისაბედი ბძანეთ!.. ვერ უყურებთ იმ ბებრუცუნას!.. (მიდის თავი-ღვინის ოთახში).

#### სცენა XVIII

გიქუა და ანეტა

ანეტა. შენ მეძახოდი, მამილო?

გიქუა. ჰო, ჩემო საყვარელო შვილო. აი რა გითხრა—შენ ყმაწვილი აღარა ხარ, ეხლა შენ გათხოვებაზედ უნდა ჰფიქრობდე. საქმრო უნდა მოვნახოთ, თორემ ამას იქით უფრო გაგიფუჭდება ხასიათი... შაჰხედე შენს თავს—რამდენიც დღე გადის, იმდენი უარესი ჰხდები... შენი გაძლება აღარ შეგვიძლიან...

ანეტა. მაშ გასალანძღად მეძახოდი აქა, ჰო?!..

გიქუა. სულაც არა!... აბა ვინა გლანძღავს? გასალანძღად-კი არა, მე მამაშვილურად გელაპარაკები... ჰო, იცი რა გითხრა. აქ მთელმა ჯოგმა სასიძოებისამ მოიყარა თავი და შენი შერთვა უნდათ. შენზე ჰკიდია ეხლა, რომელიც გინდა მოიწონე და ამოირჩიე...

ანეტა. (გახარებული) სასიძოებიო? აბა სად არიან?...

გიქუა. იქითა სხედან განჯინებში... არა, განჯინებში-კი არა, თავი ღვინის ოთახში და განჯინებსა ჰშინჯავენ.

ანეტა. მამილო, მე რომ...

გიქუა. ერთი მათგანი სომეხია, მეორე—ქართველია, თუში...

ანეტა. მაიცა, ჯერ მათქმევინე...

გიქუა. მესამე...

ანეტა. (მოუთმენლად) მე შენი სასიძოები არ მინდა! შენთვის შეინახე!

გიქუა. როგორ თუ არ გინდა! ეხლავ უნდა გაგათხოვო! მე არ ვიცი!.. როგორა არ გინდა!.. რას ამბობ?

ანეტა. (გადაჭრით) როგორ და ისე! ჩემთვინ საქმრო დიდი ხანია ამორჩეული მყავს. მე კნიაზი ლევანი მიყვარს და სხვა არავინ. არც აქეთა და არც იქით!

გიქუა. კნიაზი ლევანი მიყვარსო?... მართლა გიყვარს?! მაშ... მაშ... შენ კიდეც... მაშ გაგითავებია, რაღა!...

ანეტა. (თვალებს ძირს დაჰხსავს) ჰო, მამაჯან, მიყვარს... გავათავე...

გიქუა. მიყვარსო?.. გავათავეო?.. ერიჰა!.. ძალიან ამბავია, თქვენმა მზემ!.. მერე ეგ როგორ მოხდა?.. როგორ მოხდა?.. როდის მოხდა, სად მოხდა?..

ანეტა. კონკაში, მამილო...

გიქუა. კონკაში?...

ანეტა. დიაღ, მამილო, კონკაში. (ამოიოხრებს).

გიქუა. ჰო, თუ კონკაში მოხდა, კიდევ არა უშავს-რა. მე ვთქვი—სა-

სენის საწინააღმდეგოდ ერთ საშუალებად ამცრელების რიცხვის მომატება დაუნახავს. ამ ჟამად ქალაქს მხოლოდ ოთხი ამცრელი ჰყავს, თითო-თითო კაცი ოთხს ქალაქის ექიმსა. ამ ამცრელებს ქალაქისაგან წელიწადში ეძლევათ თითოს 25 მანეთი და ასი ათასის მცხოვრების რიცხვის დახმარება ამ ოთხს კაცს მეტად გაუძნელდება, რასაკვირველია. ამიტომაც ბ-ნმა გუბერნატორმა აუცილებელ საჭიროებად სცნა ამცრელების რიცხვისათვის კიდევ ოთხი კაცი მოემატებინა და თითოსათვის ჯამაგირად წელიწადში ექვსი თუმანი დაენიშნა.

ეს გარემოება ბ. ნმა გუბერნატორმა აცნობა ქალაქის თავს და მოსთხოვა, რომ პირველ კრებაზედვე მოხსენდეს ქალაქის საბჭოს ეს საქმეო.

⁂ ამ ჟამად თიონეთის მაზრაში მუშაობს მიწის მზომელი ბ-ნი მაროზოვი. იმ დროს, როდესაც ბ-ნი მაროზოვი მაღაროსკარში ჰმუშაობდა, ერთს ბოროტს გამზრახველს ხანჯალი მოუქნევია, მაგრამ მიწის-მზომელის თარჯიმანს ხელი აუკრავს და ხანჯალი ხელიდამ გაუგდებინებია. როგორც გაზ. „ტ. ლისტოკ“-ი იუწყება, ამის ბრალს ბ-ნი მოროზოვი სოფლის ერთს მოხელესა სდებს, რომლის სამართალში მიცემა ამას წინად თვით მაროზოვს უთხოვნია მთავრობისათვის, იმიტომ,-რომ იგი თავის მოვალეობას არ ასრულებდა და ბ-ნ მაროზოვის წინაშე სხვა-დასხვა ცუდ მოქმედებას სჩადიოდაო. საქმე გამომძიებელისათვის გადაუციათ.

ამასთანავე გაზეთი ამბობს, რომ ბ-ნი მაროზოვი სჩივის, ამ ადგილებში ხალხი საზოგადოდ მეტად შეუპოვარი და მხეციაო. ამის საბუთად მოჰყავს, მაგალითად, ერთი შემთხვევა: როცა ბ-ნი მიწის მზომელი ჩარგალის ხეობაზედ მიდიოდა თურმე, მთებიდამ ქვები დაუშინეს და სადაც-კი ნიშნები დასდო, სულ ამოიღეს და მოშალესო. რაც უნდა ავდარი იყოს, ღამის გასათევად არავინ არ შეგიშვებს სახლშიო და სხვ.

ეს-კი ვიცით ეხლა, რომ ბ-ნ მაროზოვს, მიწის მზომელს, ცუდად ეკიდება თიონეთის მაზრის ხალხი, მაგრამ ის რომ არ ვიცით, რამ აიძულა ხალხი ამისთანა მოქმედებისათვის?

როდის მომხდარა სხვა დროს ამისთანა მაგალითი?..

⁂ 21 მარიამობისთვეს, საღამოს ცხრა საათზე, ალექსანდერდორფის გერმანელების კოლონიაში, ივანე ტყემალაძის დუქანში, პოლიციის ბოქაულმა სვიმონოვმა შეიპყრო დამნაშავენი, რომელთაც მოჰპარეს ვაჭარს ივანე ფარსადანოვს 1115 მან. ფულად, რამდენიმე ნივთი და სარგებლიანი ქაღალდები. დამნაშავენი აღმოჩნდნენ მცხოვრები დ. სურამისა: ვანო ოვანოვი, ტფილისში მცხოვრებნი დიმიტრი ზაზეგაშვილი და დავით ბეჟანოვი და ჯარის-კაცის შვილი სერგეი კუზმინი. ოვანოვს უნახეს 519 მან. ფულად, ვერცხლის ქამარი, ვერცხლის საათი, სპილოს ძვლის ქისა და ჯვარი; ზაზეგაშვილს უპოვეს 28 მან., ბეჟანოვს 2 მან. და კუზმინს 5 მან. დამნაშავენი შეიპყრეს და მომრიგებელ-მოსამართლეს გადასცეს.

⁂ იმავე რიცხვს, საღამოს რვა საათზე, სამსახურიდგან გადამდგარის ჯარის-კაცის ქვრივი პრასკოვია ანურჩევისა წავიდა ვერის ხიდზე და იქიდამ წყალში გადავარდნა დააპირა იმიტომ, რომ ჯარის კაცმა ათანასე ჩუხლებოვმა უარი უთხრა, შენთან ცხოვრება არ მინდაო. ანურჩევისა გადაარჩინა პოლიციელმა გროშენკომ. სწორედ იმ დროს, როცა ხიდის მოაჯირზედ გადააბიჯა მტკვარში გადასავარდნად, გროშენკომ ფეხებში ხელი წაავლო, გადმოითრია თავისკენ და ურჩია, ამ საქმეს ნუ ჩაიდენო, და სახლისაკენ გაუშვა, მაგრამ ანურჩევისამ მოუარა ხიდს, ჩავიდა წყალზედ და იქ გადავარდა, მაგრამ იმავ პოლიციელმა 1-ლ განყოფილების პოლიციელის ბელოის დახმარებით გადაარჩინა მეორედ.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

ღადარინის სასწაულსა მოგვაგონებს ერთობ ხშირად,
ალსავალთა მარჯვედ ჰგალობს, თვითაც ადის გასაკვირად,
მიმოქცევა დროზე იცის—ხან ჩუმად და ხან ზეპირად,
ბევრს მეტყველებს, ბევრს აჭრელებს, თუმცა ნაყოფს ისხამს ძვირად.
ახირება მეტად უყვარს, აჩემება სხვისდა ჭირად:
შფოთავს, ჰბორგავს, კილის-კილობს, მეტოქეს ბრძავს თავ-და-პირად,
იგესლება, მეზობლურად იყვედრება გასაწირად,
ძეგლსა იდგამს ლაღვისასა გულისთქმის წინ შესაწირად.

---

## ხმა ზემო-იმერეთიდგან.

მუშაობის დღე იყო. მზე მიწურულიყო და ჩასვლას ეპირებოდა. თუმცა საღამოს ჟამზედ ცოტა გრილმა ნიავმა დაჰბერა, მაგრამ ჭიჭინობელას ძახილით ყურთა სმენა აღარ იყო. ცხენზედ ვიჯექი და სახლისაკენ მივდიოდი. სახლს რომ დავუახლოვდი, რაღაცა ფიქრებმა გამიტაცა და ისე გამევლო ნახევარი ვერსი, რომ არაფერი გამიგია. ერთს მაღალს ბრეკზედ რომ გადავდექი და ჩავეკიდე თავ-დაღმართში, უეცრად კაცების ბაასი შემომესმა. დავინახე, რომ ორი კაცი ერთმანეთს ებაასებოდა. მალე გავუსწორდი, „გამარჯობა“ ვუთხარი და წავედით ერთად. ერთი იქვე ჩემი მეზობელი გლეხი გახლდათ; მეორეც—იმ ჩემი მეზობლის მოყვარე. ცოტა რომ გავიარეთ, მივუბრუნდი მეზობელს და ვკითხე:

— ზურაბ, სადა ბძანებულხარ?

— კანცელარიაში გახლდი, შენი ჭირიმე.

— უთუოდ საჩივარი გექნებოდა, თორემ ამისთანა დღეში მუშა-კაცის მოცდენა ძნელია.

— მართლაც რომ ძნელია, შენი ჭირიმე, მაგრამ რას იზამს კაცი?! საჩივარიო?! საჩივარი-კი არა, სადა მაქვს, შენი ჭირიმე, საჩივრის თავი. ეხლანდელს დროში ძნელი შეიქნა საჩივარი, ჩემო ბატონო! ეხლა ისეთი დროა, რომ შენიც რომ წაგართვას კაცმა, თავს თუ დაანებებ, თორემ საჩივრად აღარ ღირს. რომ იჩივლო, იმოდენს გათრევენ, რომ შენს სიცოცხლეში ვერ მოესწრები ამოგებას; თუ მოესწარი და იმოდენა დაგეხარჯება, რომ იმ ფასად იქნება კიდეც არა ღირდეს ის სადაო საქმე. რას იზამ, შენი ჭირიმე! სუდიები ხელში მოგჩერებიან და მამასახლისი. სანამდის ყველას ყრონჰამდის არ მოჰყრი ფულით, მანამდის ახლოსაც არ მიგიკარებენ. ერთის გოჭის მოკვლას რომ უჩიოდე ვისმეს, სამის ღორის ფასი გეხარჯება. დასწყევლოს ღმერთმა სოფლის საქმე! ერთი იმისთანა მოხელეები ვერ ამოვირჩიეთ, რომ საქმე ხეირიანად წაიყვანონ. ხან ერთს ვირჩევთ მოსამართლედ, ხან მეორეს, მაგრამ სოფლის მარგებელის კაცისათვის აქამდის ვერ მიგვინდვია მთელის საზოგადოების ბედ-იღბალი. საქმეში არ გამოგადგებიან, თორემ ფულის ჭამა-კი არ უჭირთ.

— მაშ უთუოდ მოხელეებს ამოირჩევდით დღეს?!

— არა, შენი ჭირიმე! აი ამ ჩემს მოყვარესაც დღევანდელს ყრილობაზედ ველაპარაკებოდი. დიდი ხალხი იყო დღეს ხ—ლის კანცელარიაში. აბა როგორ არ იქნებოდა, როდესაც კომლზედ კაცი იყო დაბარებული; გლეხი არ აკლდა, მღვდელი, აზნაური და თავადი. როდესაც მოვიყარეთ ყველამ თავი, გამოვიდა ბოქაული და გვითხრა: „თუ გინდათ თქვენს ცოლ-შვილში უშიშრად იყოთ, მოპარვისა არ გეშინოდეთ, მოხდომისა და თავის სიკვდილისა, მომეცით რაც ქურდები არიან თქვენს შორის. თქვენსავით არავის არ ეცოდინება, ვინ არიან ქურდები და ამიტომ თქვენვე უნდა გასცეთ. მე თქვენ მხოლოდ მიჩვენეთ, დამისახელეთ და მერე მე ვიცი მისი წამალი. თუ გინდათ მშვიდობიანობა და მყუდროება იყოს, ასე მოიქეცით და თუ არა, რაც მოგივიდეთ, თქვენს თავს დააბრალეთ“. აჰ, ბეჩავ! რომ იცოდე, რა კარგი ბოქაული გვყოლია. იმისთანა არც გვყოლია და არც მოგვივა. თაფლი და შაქარი ამოსდის მაგ მამა-განათლებულს პირიდგან. შენ რომ დღეს მისი ლაპარაკი გეყურებია, სწორედ რომ სასოება მოგივიდოდა. აი დაადგა მისს გამზრდელს სვეტის ნათელი. აბა ერთი მითხარი, ასლან, რისთვის იწუხებდა ბოქაული თავს ეგრე ჩვენთვის; ბაბუა არ არის ჩვენი და ბიძია, რას დაგვეძებს; განა ბოქაულები აქამდის არ გვყოლიან, რომ ეს საქმე არ ჩაუდენიათ?! მაგრამ რომ გამოვა, ჩემო ძმავ, მადლიანი და ღვთისნიერი კაცი, ის არის, მეტი არაფერი. მაგრამ რა გამოვიდა მისი ლაპარაკიდამ! ხომ გაგიგონია, „კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“. ყრუები ვართ ჩვენ საწყლები, ყრუები. ჩვენვე ვაფარებთ ხელს ჩვენს ამომგდებლებს, არ გვინდა გავცეთ.

— მერე რა ჰქენით, მიეცით ვინმე ქურდი და ბოროტ-მომქმედი კაცი, თუ არა? ვკითხე მე.

— მივეცით-კი არა! ხევისთავები ამოვირჩიეთ სოფელში ოთხი-ხუთი კაცი: ამათ დარაჯები უნდა ამოირჩიონ. იმ ამორჩეულმა კაცებმა უნდა ადევნონ თვალ-ყური, უცხო ვინ შევა სოფელში, ვინ ვის ესტუმრება, რა დროს ესტუმრება და რა დროს წავა. ხევისთავები ვალდებულნი არიან შენიშნული კაცები მთავრობას მისცენ.

— მაგი დიდი ხანია ჩვენშიაც არისო, ჩაერია მეორე ლაპარაკში: და კიდეც ამოვირჩიეთ დარაჯები, მაგრამ რადა მერე? ყველას თავიანთ სახლში სძინავთ; ვინ დაგიდევს ღამე სიარულს და დარაჯობას.

— თუ დაიკარგა რამე და ან სხვა რამე ბოროტება ჩაიდინა ვინმემ, პასუხის-მგებელნი ის ამორჩეული კაცები იქნებიან. ამ ქურდობას გარდა, ბოქაულმა სოფელს ორი-სამი კაცი ამოგვარჩევინა; ამათ დაავალა სოფლებში გზების რიგიანად გაკეთება. აჰ, ღმერთო ჩემო! ლამის მთელი სოფლის მცხოვრებლები მოხელეებად გადაიქცეს!

---

და-მეთქი. კონკაზე ფიქრიც არ არის!.. კონკა... კონკას რა უშავს... მაგრამ აქამდე რატომ არა მითხარირა მაგაზე?

ანეტა. როგორ არ გეტყოდი, მაგრამ რა ვქნა, სიტყვას-კი არ მათქმევინებ ხოლმე-და!.. დედას კიდე ეს ორი თვეა ჩავძახი ყურში, მაგრამ ვერა გავაგებინე-რა.

გიქუა. მაგას მართალს ამბობ!.. ძლიერ ყრუა ის უბედურის დღისა... მაგრამ... ჰო!... ქალო, ხომ იცი, რომ დედაშენს ლევანი თვალ-აწუნებული ჰყავს... იმისი დანახვაც არ შეუძლიან... ლაპარაკი ხომ რაღა და რაღა!..

ანეტა. რათა, მამილო, მაგისთვის რა დაუშავებია ლევანს?

გიქუა. როგორ არ დაუშავებია!.. განა ვერ ატყობ, რომ თავაზიანად არ ექცევა ელისაბედს! არ გაგიწევია ვარაუდი—როცა-კი ჩვენსაა ლენი სადილად და შემოიტანენ სუფრაზე ცივად მოხარშულს დედალს, იმდენს გადიღებს ხოლმე ეგ შენი ლევანი თეფშზე, იმდენს გადიღებს, რომ ჰა!.. მე თუ მკითხავ, კიდეც მიხარიან — მადიანი ბიჭია და ჯანმრთელი იქნება, კაი შვილები ჩამოგივათ. მაგრამ ძნელი ის არის, რომ დედაშენსაც ძალიან უყვარს ცივად დედალი. მაგაზე ეჯავრება ლევანი, უნდა პატარა თავაზა იცოდეს, პოლიტიკა ჰქონდეს. არ იქნება უმისობა...

ანეტა. კარგია, თქვენმა მზემ! რაღაც დედლის გამო უნდა უკუღმა დაატრიალოთ ჩემი ბედი რაღა!.. დიახ, რასაკვირველია!..

გიქუა. მე რა შუაში ვარ, გენაცვა!.. შენ ხო იცი, მე სრულებითაც არ მიყვარს ცივად დედალი. მე მკითხეთ ჩიხირთმა, კაი ბოზბაში, არტალა, კაი დანივრული ხაში!.. მაგრამ ეგ-კი არა, შენ ერთი გასინჯე, ეხლა მე რა დღეში ვარ—აქეთ დედა შენი, იქით ის დამშვილდული სასიძოები! რომელ ერთს გაუძლო და ან რა პასუხი გავცე მაგათ!..

ელისაბედი. (შემოდის მარჯვნივ) აბა, ვერ ამოარჩიეთ?

გიქუა. ამოვარჩიეთ, მაგრამ ისეთიკი, რომელიც შენ არ გეპიტნავება. (ანეტას) მე მგონია, სჯობს ეხლავ შევატყობინოთ ამასაც ყველაფერი. (ცოლს) ამას კნიაზი ლევანი მოსწონს! გაიგე, დედაკაცო?..

ელისაბედი. ჰა?.. რაო?

გიქუა. რაო შენა და შენს თავს! რა მექნა რაყოკი! (აიღებს რაყოკსა და ჩასძახებს ყურში) ამას კნიაზი ლევანი ჰყვარებია. (თავისთვის) ბარემ თოფი დამეცა ელისაბედისთვის! ნახეთ ამისი გაფუცხუნება! ცეცხლს მოიკიდებს, აენთება!..

ელისაბედი. ლევანი ჰყვარებია? (სრულებით დამშვიდებული) ძალიან კარგი! მაშ შეირთოს.

გიქუა (რაყოკით) შეირთოსო? მერე ცივად დედალი?!.

ანეტა (მოეხვევა დედას) შენ-კი გენაცვალე, დედიჯან! ჩემო კარგო!..

ელისაბედი. ცივათ-დედალი რას ჰქვიან!.. ოღონდ შენ ბედნიერი მყავნდე, ჩემო ერთად-ერთო ნუგეშო, და განა მე დაგიდევ რასმე! მე გინდა არ ვიყო.

გიქუა. (მხურვალეთ ჩამოართმევს ხელს). ემაგრე, ელისაბედ, მაგეთი სიტყვები მიყვარს, აი! დამაცა შენა, ისეთი საჩუქრები გიყიდო და ისეთი წვეულება გაგიმართო, რომ ქვეყანამ ყბა დააღოს. ერთი კარგადაც გადავკრამ ამ სიხარულზე... შენის ხათრით, დედაკაცო!.. (მოაგონდება) მაგრამ მაგ არზუმანებს რა ვუყო, აიქ რო სხედან, თავი-ღვინის ოთახში, და მელიან?!.

ანეტა. იმათი ფიქრი ნუ გაქვს, მამილო, ისინი ჩემთვის არ შეწუხდებიან!.. იმათ ფული უნდათ.

გიქუა. ჰო, მამაგონდა... ეხლა-კი მე ვიცი. სადილზე დავპატიჟებ და როცა ხილს შემოიტანენ, პირდაპირ გაუმჟღავნებ: უკაცრაოთ, ყმაწვილებო, ჩემს ქალს კნიაზი ლევანი უყვარს-მეთქი.

ანეტა. მამილო! რაკი მაგეთი კარგი ჰყოფილხარ, ეხლა ბოთლების რეცხვა ჩემი ვალი იყოს, სულ დავაკრიალებ! (ანეტა და ელისაბედი დაიწყებენ ბოთლების რეცხვას).

გიქუა. ვაჰ, შენ ჩემო თავო! რქაწითელი-კი სულ გადამავიწყდა!.. (ივანიკას, რომელიც შემოდის) აბა ერთი თავი-ღვინის ოთახში რო ვაჭაცები არიან, აქ გამომგვარე. მუქთათა სხედან და მე მაგათ კარგს საქმეს გაუჩენ.

ივანიკა (მიდის მარცხნივ და ეძახის) ყმაწვილებო, აქ გამობძანდით!

### სცენა XIX

იგინივე და სასიძოები, მერე კნიაზი ლევანი

არშაკა. (შემოდის) გავიყინე სიცივისგნით იქ, პირველი სორტის პადვალში!..

ივანოვი (შემოდის) უჰ, ძალიან გვერდის ქარია იქა! (აცემინებს) ვაიმე! სურდოც შემყრია!..

გიქუა. ბატონებო! ეხლა 12 საათია. ელისაბედი ოთხზე ძლივს გვაჭმევს სადილს.

ლეო. (ყველაზე ბოლოს შემოდის) მაშ მანამდე წავიდეთ, ღოღო ვნახოთ!..

გიქუა. ეჰ, ღოღი-კი არა! მე თქვენთვის უფრო გასართობი საქმე მოვიგონე... ჩვენ ყველამ, ვინც აქა ვართ, მივყვეთ და ეს რქა-წითელი გადავიღოთ ბოთლებსა და ტიკჭორებში... აბა, ჯერ ბოთლების რეცხვას მოვრჩეთ. არიქათ, თქვენი ჭირიმეთ! იცოდეთ, რომ ჩემს ქალს საშინლად უყვარს მშრომელი ადამიანი. (ადგილიდამ არავინ იძვრება. ივანოვს აცემინებს. სასიძოები გაქცევას აპირობენ) ჩემი ქალი იმას გაჰყვება, ვინც უფრო კაი მუშა გამოდგება! (ყველანი მისცვივიან ბოთლებსა და მწარეთ მოჰკიდებიან რეცხვას. გიქუა უყურებს დაცინვით. სტაქანს მიიტანს პირთან) ეჰ, წახდა ქვეყნიერობა, წახდა!.. (ამ დროს სანთლით ჩამოდის სარდაფში კნიაზი ლევანი. ანეტა, დაინახავს თუ არა, სიხარულით შეჰკივლებს, მიჰვარდება, კისერზე ჩამოეკიდება და დაუწყებს მხურვალეთ კოცნას. სასიძოები გაშტერებულნი შეჰყურებენ) ყმაწვილებო, ალბათ კნიაზი ლევანი უფრო კაი მუშაა, რომ ეგ მოსწონებია ჩემს ქალს! ნურას უკაცრაოთ!..

არშაკა. (თავისთვის) აფსუს! გიჟმა ქართველმა უნდა ჩაიგდოს მაგოდენა ოხერმა ფულმა რაღა!.. (სასიძოები სათითაოთ გაიპარებიან. ფარდა).*)

---

*) გადმოქართულებული ადამ ბიალოვესკისა და სტ. ჭ—ლის მიერ.

— ეგ ხომ მამასახლისის საქმეა, ჩემო ზურაბ! ვუთხარი მე.

— აკი მოგახსენე, შენი ჭირიმე, მოხელეები არ გვივარგან-მეთქი, ი მამაცხონებული ვინც-კი დადგა მოხელედ, სულ ჭამის გუდად გადაიქცნენ. დაუჯერებიათ რაღაც უძირო ჯიბეები და მათს გავსებას ვეღარ მოვესწარით. არ მოყირჭდათ ფულის აღება და სრული უსაქმურობა. ისეთი კაცი ვერ გამოგვირჩევია მთელს საზოგადოებაში, რომ თავისი მოვალეობა სინიდისიერად შეესრულოს და სხვისი უსამართლო წაგლეჯა არ ჰყვარებოდეს.

— ეგ იმისი ბრალია, ჩემო მეზობელო, რომ უსწავლელები ვართ, განათლება არა გვაქვს. სწავლა რომ გვქონდეს, ასე გულ-გრილად როდი მოვეკიდებოდით საზოგადო საქმეს. მაშინ ისეთი უსინიდისობა აღარ იქნებოდა მოსამართლეს შორის, როგორიც ეხლა არის. თქვე მამა-ცხონებულებო, რა უნდა გააკეთოს იმისთანა მამასახლისმა და ან სუდიებმა, რომლებმაც სახელის და გვარის მოწერაც არ იციან?!

— კარგი დაგემართა, შენი ჭირიმე, ნასწავლები რომ გვყავდნენ, მაგრამ სად არის? რასაც მწერალი დასწერს, ურტყმენ ბეჭდებს, როგორც შეუძლიათ. მწერალი ისე ატრიალებს საქმეს, როგორც უნდა, მამასახლისიც ისე არის და სუდიებიც.

— დღეს არ არის ნასწავლები, მაგრამ უნდა ეცადოთ, შვილებს ასწავლოთ და მერე მოხელედ დაიყენოთ.

— სადა გვაქვს, შენი ჭირიმე, ჩვენ, გლეხ-კაცებს, იმდენი შეძლება, რომ შვილები გავზარდოთ, „ყურსი" შევასრულებინოთ?

— მე ხომ იმას არ გეუბნები, რომ უსათუოდ მაღალი სწავლა უნდა მიაღებინოთ-მეთქი. ესეც ხომ კარგი იქნება, ვისაც შეუძლია, მაგრამ, შე-კაცო, წერა-კითხვა მაინც კარგა უნდა იცოდეს. რაიმე საქმის გაკეთება რომ უნდოდეს, მწერალს-კი არ უნდა მიაჩერდეს, თვითონ უნდა შეიძლოს საქმის გაკეთება. ის მაინც ეცოდინება წერა-კითხვის მცოდნე მოხელეს, რაზედ ურტყამს ბეჭედს. „სოფლის კლასში" მაინც უნდა ასწავლოთ შვილებს. მე კარგად ვიცი, რომ ამ ერთის წლის წინად სამჯერ იყო ყრილობა ერთ კლასიანი ხ—ულის სასოფლო სკოლისათვის: მეორე კლასიც რომ მოგემატებიათ და შვილები გამოგეზარდათ, ამ ორს კლასში გამოსული მშვენიერად აასრულებდა მამასახლისობასაც და სუდიობასაც. შემწეობასაც-კი გაძლევდნენ, ექვსასი მანეთი სახელმწიფო ფული გეძლევოდათ შენობისათვის და შენობის ადგილსაც სახელმწიფო ადგილიდგან გითმობდნენ. თქვენ-კი თავი მოიკალით „არ შეგვიძლიან"-ის ზახილით. რა ბევრი შეძლება უნდოდა ამას. ექვსი შაურისათვის რომ კიდევ ექვსი შაური დაგემატებიათ, სამს აბაზათ ორ-კლასიანი სკოლა გექნებოდათ. რაღა ემჯობინებოდა ამას. სამს აბაზს კაცი როგორ ვერ იშოვიდა, მერე იმისთანა საქმისათვის, როგორც სწავლაა. სამი ჩარექი ღვინო რომ მოიკლო და გაყიდო და ან ერთი ქათამი გაზარდო სახლში და გაყიდო, იმაში აიღებ სამს აბაზს. დღესასწაულებზედ რომ უზომოდ ისხამთ ღვინოს პირში და არც სხვა ხარჯს ერიდებით, ნუ თუ უკეთესი არ იქნებოდა, კაი დღეზედ ცოტა მოგეკლოთ და შვილების გამოზრდა-კი თქვენს სახლშივე შეგძლებოდათ? ნუ თუ ვერ გაიგეთ, რომ უსწავლელი კაცი ფასად აღარ ღირს? ერთ კლასიანი სკოლა გაქვთ და ვეღარ გაუვიდა ორს საზოგადოებას. ას ოცამდე შეგირდია და რა ჰქნას საწყალმა მასწავლებელმა, რითი გაართვას თავი? იქ ძლივს წერა-კითხვას სწავლობენ და რომ გამოვლენ, ყველაფერი ორს წელიწადში ავიწყდებათ.

— არა, ჩემო ბატონო, არც მაგაშია საქმე! ვინ არ იცის, რომ სწავლა კარგია? ეხლანდელს დროში ისე ყრუ და შეუგნებელი არავინ არის, რომ სწავლის მნიშვნელობა არ ესმოდეს. ჩვენი ბოქაულიც რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, რას გვეტყოდა და ან ვინ მისცემდა მაგ ხელობას. ეხლა ყველას ესმის, შენი ჭირიმე, რომ უსწავლელობა გლახა საქმეა. ყველას შეეძლო, სამი აბაზი-კი არა, თუნდა მანეთიც გადაეხადა, ოღონდ ჩვენი შვილები-კი გამოზრდილიყვნენ, მაგრამ ველარავის ვენდეთ. ვინც ჩაგვიგდო ხელში, ტყავი გაგვაძრო. გაუგონიათ სოფელი „ცხვრის დუმა" არისო და გვჭამენ. ჩვენ იმისი შეგვეშინდა, რომ ექვს შაურს გვეუბნებიან და გაწერის დროს-კი მანათსაც არ დასჯერდებოდნენ. მასწავლებელი კიდევ უარესი შეიქნა, შენი ჭირიმე! იმას რაღა ხელი აქვს ჩვენთან. ოთხას მანეთამდე ჯამაგირი ეძლევა, მეტი რაღა ეშმაკი უნდა, მაგრამ ჩვენ უბედურებს იღბალი არა გვაქვს. ევ კლასი რომ დავაარსეთ, მაგან-კი რა კეთილი მოგვიტანა? სახელი ჩვენია, სახრავი-კი სხვისი. ეგ კლასი რომ გავხსენით, მაშინ დავადგინეთ, რომ უკეთუ სხვა წოდების შვილებს მიიღებდნენ და ადგილი იქნებოდა, წლიური სწავლის ქირა ხუთი მანეთი უნდა გადაეხადა, ნახევარი მასწავლებლის სასარგებლოდ და ნახევარიც სასწავლებლისა. ამითი სარგებლობენ მასწავლებლები და უმეტეს ნაწილად აზნაურიშვილებს იღებენ და ჩვენსას-კი უარს ეუბნებიან, ადგილი არ არისო. ვინა ჰყავთ, თუ იცი, გამსწორებელი, ფულებს ჰხვეტენ და სულ თავის ჯიბეში იწყობენ. ვინ არის, რომ ანგარიში მოსთხოვოს? ასეა ჩვენს საზოგადოებაში ყოველი საქმე უკუღმაა წასული. სასწავლებელი და მწერალი მაინც არიან ნასწავლები, რატომ შვებიან ამ საქმეს?

მართლაც, მკითხველო, ხომ ნასწავლნი არიან, რატომ შვრებიან ასეთს საქმეს?!..

ბასილა

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ცნობილმა იტალიელმა კრიმინალისტმა ლომბროზომ დაჰბეჭდა თავისი ახალი გამოკვლევა საპოლიტიკო დანაშაულობათა შესახებ. ეს წიგნი ორ ნაწილად განიყოფება. პირველი შეეხება საპოლიტიკო დანაშაულის ანტროპოლოგიასა და სოციოლოგიას და სულ მთლად ლომბროზოს მიერ არის დაწერილი, ხოლო მეორე ნაწილი შეეხება სამართალს და პროფესორ ლასკის თანამშრომლობით არის შედგენილი. ზოგიერთი გამოჩენილი იურისტები იმ აზრისანი არიან, რომ საპოლიტიკო დანაშაული ქვეყნად არა არსებობსო, ლომბროზო-კი წინააღმდეგს ამტკიცებს. ყოველს ქვეყანაშიო, ამბობს ლომბროზო: არამც თუ მდაბიო ხალხი, განათლებულნიც-კი ისეთის სიამოვნებით არ ეწყობიან ახალს წყობილებას, კონსერვატორნი არიან და აი, ეს კონსერვატიზმი ჰყოფს იძულებულს საპოლიტიკო დანაშაული ჩაიდინონ. ასეთ დანაშაულად ლომბროზო ჰგულისხმობს: შეთქმულობას საპოლიტიკო, სარწმუნოებრივ და სოციალურ პირობათა და მთავრობის წეს-წყობილების წინააღმდეგ. თუ ერთი ადამიანი მთელის საზოგადოების კონსერვატიზმს ებრძვის, ასეთი ბრძოლა დანაშაულიაო.

ასეა, მაგრამ ქვეყნიერობის განვითარება ვერ აზოგიებს ხელ-შეუხებლად სრულს კონსერვატიზმს; დროგამოშვებით ეს კედელიც უნდა გასქდეს. ამ კედლის ასე თუ ისე გასკეთქა შეადგენს განსხვავებას საპოლიტიკო დანაშაულსა და კანონიერ წინსვლას შორის, ამბოხებასა და რევოლიუციას შორის. რევოლიუციას ყოველთვის რომელისამე ისტორიულ შემთხვევის, ან გენიოს კაცის გავლენით მოხდება ხოლმე და ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ გენიოსი კაციც შემთხვევით ერევა ამ საქმეში. რევოლიუცია კარგა ხანს თავს იკეთებს, მწიფდება, და იგია გამომხატველი ერის განვითარების აღ-გარგიანობისა.

ლომბროზოს რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს იმისი, რომ ბევრი შესანიშნავი მეცნიერიც-კი კონსერვატორი იყოო. მაგალითებრ,

შოპენჰაუერი ყოველთვის ზიზღით იხსენიებდა რევოლიუციის ამტეხთ და თავისი ქონება იმათ უანდერძა, ვინც ხელი შეუწყო 1848 წლის რევოლიუციის ადაგმას; ბეკონი ჯილბერტს და კოპერნიკს დასცინოდა; ვოლტერს არა სწამდა, რომ ვითომ წარღვნის წინად ცხოველები ყოფილიყვნენ; დარვინი ქვის საუკუნეს უარჰყოფდა და ჰიპნოტიზმისა არა სჯეროდა-რა; კატრფაჟს დარვინის თეორიისა არა სწამდა-რა; ლაპლასი უარჰყოფდა, მეტეორიტები არა არსებობსო და ციდან ქვა ვერ გაჩნდებაო. ყოველი ახალი საქმე, ახალი აზრი ძნელად იდგამს ფეხს და ძნელად იკვალავს გზას და ეს-კი იმას ამტკიცებს, რომ კაცობრიობა კონსერვატორია.

წარსულს კაცობრიობა ბორკილითა აქვს შეკრულ-შებოჭვილი და თუ, ამისდა მიუხედავად, ცივილიზაცია ნაბიჯსა სდგამს წინ, იმიტომ-რომ გენიოსი და ჭკვათა არა მყოფი კაცები იბადებიან, მოძრაობასა ჰბადებენ, ერთი მოძრაობა მეორეს ეცემა ზედ და საუკუნე წინა სდგამს ნაბიჯს. პროგრესი-კი მაინც კუს ნაბიჯით მიიმართება წინ და იმის აჩქარება ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება. ლომბროზოს მეტად ეძნელება გარკვეული წრე გაავლოს ამბოხებასა და რევოლიუციას შორის.

რევოლიუციას ამბოხება ყოველთვის თანა სდევს, მხოლოდ ეს ამბოხება უფრო კვერცხის ნაჭუჭის გამომტვრევასა ჰგავს, როცა წიწილა წამოზრდება და ნისკარტით გამოამტვრევს. რევოლიუცია ყოველთვის მიაღწევს ხოლმე თავისს საგანს, თუ ის აზრი, რა აზრითაც არის დაწყებულ-წარმართული, მომწიფებულია, თუ ერს მისი შეგნება ძალ-უძს და დროც უწყობს ხელსა. რევოლიუცია ძალიან მძიმედ მწიფდება, ნელ-ნელა მოდის ქვასკვში და ამიტომაც ისე ძლიერ არ [illegible] ხალხის კონსერვატიულს გრძნობას. ასეთი მოძრაობა ერთბაშად ყველას ჩაითრევს ხოლმე თავისს ფერხულში, მთელს ქვეყანას მოედება ხოლმე. რევოლიუციას უმეტესად შუა და დაბალის წოდების ხალხი ასტეხს და გამოიწვევს ხოლმე და უკან-ჩამორჩენილს ერს ძნელად შეეძლება, რადგან წინ ყოველთვის უმაღლესი იდეალი უძღვის. მასლობელი მიზეზი შეიძლება წვრილმანი იყოს, მაგრამ მთავარი მიზეზი-კი ყოველთვის პატივსაცემია და ღირსეული. საფრანგეთის რევოლიუციის დაწყებას ის ამიზეზა, რომ პურის გაძვირება რამდენსამე კაცსა ჰქონდა ხელში ჩაგდებული, მაგრამ როდესაც მთელი ერი წამოიშალა, მეპურეებს-კი არ ეძგერნენ, ბასტილიის წინააღმდეგ აღიჭურვნენ. ხშირად რევოლიუციას ფეხსა ის გარემოება უმაგრებს, რომ მეთაურნი ახოვანნი, ხალხი გმირებად სთვლის და იმათი სათაყვანებელი აზრები თანდათან სძლევს კონსერვატიზმს ხალხისას.

სარევოლიუციო აზრი შეიძლება რამდენსამე წელიწადს მოუმწიფარი, მოუსვლელი იყოს, შეიძლება რამდენმამე თაობამ ბევრი მსხვერპლი უმსხვერპლოს, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვებს და საპოლიტიკო დამნაშავენი გმირებად გადაიქცევიან. ლომბროზოს აზრით,

შუათანა და მშრალი ჰავა უფრო ხელს უწყობს სარევოლიუციო მოძრაობას, ვიდრე მეტად ცხელი, ან მეტად ნოტიო. მაგალითად, აშკარადა ვხედავთ, რომ მთიელები მეტად კინკლაობა და დამოუკიდებლობის ხასიათისანი არიან. ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მეტად მაღლობს ადგილზედ, სადაც ჰავაი ისეთი ხშირი არ არის, ხალხი უკეთმართლება ფიზიკურადაც, ზნეობრივადაც და პოლიტიკურადაც. გრძელ-თავიანები და თეთრ-ყირმიზი ტომი უმეტესად რევოლიუციის მოყვარენი არიან, მოკლე-თავიანები და შავგვრემანები-კი—ამბოხებისა. საფრანგეთის რევოლიუციის 89 მეთაურს შორის 20 მოკლე-თავიანი იყო და 69 გრძელ-თავიანი.

დასასრულ, ლომბროზო ამბობს, რომ სარევოლიუციო მოძრაობაზედ დიდი გავლენა აქვს ალკოჰოლიზმსაცაო, და ნუსხა მოჰყავს და ამტკიცებს, რომ ევროპაში, როგორც ძველად, ისე ახლადაც, რევოლიუცია უფრო ხშირად გაზაფხულსა და ზაფხულში მოხდებოდა ხოლმეო.

---

## სათითე, თუ ბრილიანტები?

(ემილ ზოლასი)

მართა ოცის წლისაა. ერთს მშვენიერს დღეს მართა სრულიად ობლად დარჩა: მართა ქალაქის შვილი იყო და ორად-ორი გზა ჰქონდა, ან სათითე უნდა ამოერჩია ცხოვრებაში, ან ბრილიანტები. მართამ სათითე ამოირჩია. იფიქრა: გული უნდა ჰქონდეს ადამიანს და ნემსიო, სიყვარულით სავსე უნდა იყოს და ბევრი იშრომოს; შრომა სიყვარულს თავისუფლებას ანიჭებს და თითები კიდევ გულის დამოუკიდებლობას უზრუნველადა ჰყოფს.

ცხოვრების გარიჟრაჟზედვე მართა ცხელის შუბლით თავისს პაწია ხელებს დაეყრდნო და ღრმა ფიქრებში გაერთო.

„ახალგაზდა ვარო, ჰფიქრობდა ყმაწვილი ქალი: ლამაზი, და შემიძლიან კიდეც აბრეშუმის კაბები და ბრილიანტები მოვიპოვო. შემიძლიან განცხრომით ვიცხოვრო, საუკეთესო საჭმელებით ჩავიგემრიელო პირი, საკუთარის ეტლით ვისეირო, არაფერი ვაკეთო-რა და მთელი დღე სიამოვნებასა და მხიარულებაში გავატარო. მაგრამ ერთხელაც იქნება დიდს მდუღარებას დავაბნევ, გამომელვიძება ტალახსა და მწვირეში და ჩემისავე გულის საყვედური და დრტვინვა მომესმის. არა, არა, ისევ ისა სჯობია, ეხლავე მოვუსმინო ჩემს გულს, დეე ის იყოს ერთად-ერთი ჩემი მრჩეველი და ხელმძღვანელი. რომ უფრო თავისუფლად მივსდიო იმის რჩევას და არ ვუმტყუნო, აბრეშუმისა-კი არა, უბრალო ჩითის კაბით ვივლი და ხანგრძლივ მუშაობის დროს ნელის ხმით დავეკითხები ხოლმე რჩევას. თავისუფალი მინდა ვიყო, მეც ის მინდა მიყვარდეს, ვისაც ჩემი გული შეიყვარებსო!"

იმ დღიდგან მართა დიდის სახლის სხვენში სცხოვრობს და იმისი პაწია ოთახი ყოველთვის მზის სხივით არის განათებული. თქვენც გეცნობებათ იმის გალია, არა ერთხელ შემკობილი პოეტების მიერ. ერთად-ერთი სიმდიდრე ამ პაწია ოჯახისა სისუფთავეა და სიმხიარულე. აქ ყოველივე ჰბრწყინავს და ლაპლაპებს, თითქოს ძველი ავეჯიც-კი გამოფხიზლებულა და ხელ-მეორედ გაახალგაზდავებულაო.

ეს ადამიანის ბუდე დიდად ჩაღრმავებულია, ვიდრე ჩიტუნია იქ არ არის, შევა მართა-და, მთელი სხვენი ღიმილს დაიწყებს. მართა სულია ამ პაწია ქვეყნისა: თუ ის იცინის, იმისი ოთახიც მზის სხივებით არის გაპაშკაშებული, თუ ტირის, მთელი ოთახიც ჩამობნელდება ხოლმე.

ყმაწვილი ქალი ფანჯარასთანა ჰზის, მხიარულის გალობითა ჰკერავს და ბეღურებიც ბანს აძლევენ იმისს სიმღერას. მართა საქმის გათავებასა სჩქარობს, რადგან კარგად იცის, რაც მოელის, იცის, რომ ხვალ ვარიერის ბაღების ჩრდილში სეირნობით უნდა ისიამოვნოს.

მართას გულმაც ენა ამოიდგა. აგერ უკვე ორი თვეა, რაც დაუჯერა და თავისის გულის პასუხს აჰყვა: ეხლა ობლად აღარ არის ქვეყანაზედ, კეთილს ყმაწვილს კაცს შეხვდა და, რადგანაც თითონაც კეთილის გულისაა, ნება მისცა თავისის სიყვარულისა, თითონაც თანაუგრძნო.

აბა შეჰხედეთ, როცა ქუჩაში მოდის. ხელში საკერავი უჭირავს, თამამად მოჰქრის და მშვიდს სახეზედ ღიმი უქრის და უბრწყინავს; ბეღურასავით მფრთხალიც არის და გამბედავიც. ქალაქია იმისი სამშობლო. თუ არ ქალაქში, სხვაგან ვერსად შეჰხვდებით ამ ნაზს ღიმილს, ამ თამამს სიარულს, ასეთს ჰაეროვნებას, სიკეკლუცესა და სიკისკასეს. მართა ყმაწვილია, გულ-უბრყვილო და მუდამ მოკისკასე ყმაწვილი, ტოროლასავით მშვიდ-წყნარი და მხიარული.

რა სასიამოვნოა ვარიერის ბაღებში ყოფნა! რამდენი მაყვალი და ვარდი ასხია, რა ლამაზია მწვანედ გაშლი-

ლი მოლის ნოხი და ტურფად გაფოთლილი ხეები! მართა აქ მოსვლით მთელის კვირით, ჰაერითა და თავისუფლებითა სტკბება, სიამოვნების ცრემლები სცვივა, ცის ლურჯს კამარას რომ ჰხედავს და ფოთლის ჩუმს შრიალს რომ ისმენს. შემდეგ, ბინდისას, ნელის ნაბიჯით ბრუნდება სახლში, ხელში იასამანი უჭირავს და გული სიმხნითა და სიყვარულითა აქვს სავსე.

ასე მოიწყო და მოიმართა მართამ ცხოვრება, შრომითა და ნაზის სიყვარულის ნეტარებით სავსე. თავისის არსებობის უზრუნველ-ყოფასა და თავისის თავის დაცვა-დაფარვას შეიძლებს იმისთვის, ვისი მეგობრობაც შოინდომა.

ვინ გაჰკიცხავს ამ ყმაწვილს? იგი უფრო ბევრს ჯილდოს არიგებს, ვიდრე თითონა აქვს მინიჭებული. იმისი ცხოვრება ჭეშმარიტის ვნებათა ღელვის სიდიადითა და დაუცხრომელ შრომის მაღალის ზნეობით არის სავსე.

მაშ იგალობეთ, დაჰმღერეთ, მშვენიერო ტოროლანო, ჩვენს სიჭაბუკეს, იმღერეთ ჩვენთვის, როგორც ჩვენის მამებისათვისა ჰმღეროდით და როგორც ჩვენის შვილებისათვის იმღერებთ. უკვდავნი ხართ, რადგან განგიხორციელებიათ სიჭაბუკე, შრომა და სიყვარული!..

ა. ა.

## დეპეშა

22 ავგისტო

**პეტერბურგი.** „Нов. Вр.“ იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუწყიათ მუშაობა და სურთ გამოარკვიონ ის საშუალებანი, რომელსაც ხმარობს ერობა და რომელსაც აზრათა აქვს სოფლის ხალხის ეკონომიური კეთილდღეობის დაკმაყოფილება.

**მიტავა.** კურლიანდიის საგუბერნიო მმართველობის წევრთა და მოხელეთ დაადგინეს: რამოდენიმე ნაწილი ჩვენის ჯამაგირისა გადავდოთ დამშეული გუბერნიების სასარგებლოდ.

**პარიჟი.** დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ გადასწყვიტა დარჩეს კიდევ რამდენსამე დღეს ვიშში.

**როსტოკი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლიტურთ წაბძანა პარიჟს.

**ბერლინი.** რადგან ბერლინში დღითი დღე ძვირდება სანოვაგე, მატულობს—ფასი სასმელ-საჭმელისა და ამასთან ერთად მუშა-ხალხი ნაკლებად შოულობს სამუშაოს, სოციალისტის დასის წევრებმა შეიტანეს ქალაქის საბჭოში შემდეგი წინადადება: დაუყოვნებლივ მივყოთ ხელი დიდის შენობების აშენებას; იყიდოს ქალაქმა თავისი ხარჯით სანოვაგე და შეშა და ჰყიდოს ზომიერ ფასად; საცა საჭირო იქნება, უსასყიდლოდ ურიგოს ტანთსაცმელი და სასმელ-საჭმელი. ამის გარდა ქალაქმა შეიძინოს უსასყიდლო სადგურები, და მით აღმოუჩინოთ დახმარება სიცივისაგან დაძრულებს; ვაძლიოთ უსასყიდლოდ მათ ყავა, ჩაი და რძე, სკოლებში-კი მოწაფეთ დაურიგოთ ხოლმე თბილი საჭმელი საუზმის დროს.

### პეტერბურგის ბირჟა, 20 ავგისტო

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 88 | 7, 92 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157½ | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 15 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | 213 | 210¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ - კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

## განცხადებანი

### პანსიონი და სასწავლებელი
### ქ-ნის ვილბრანდტისა

იყვანს ქალებსა და ვაჟებს თავისის ხარჯითა და მოსიარულეთ. მიღება დაიწყება 1-ლ ენკენისთთვიდამ, ხოლო სწავლა—5-დამ. მუდამ ფრანგულის ენის ვარჯიშობაა. ლაბორატორიის ქუჩა, სარდაროვის სახლი, 42.

(2—108—1)

### ბორჯომის მამულების გამგეობა

მოიწვევს მსურველს, აიღოს თევზის ჭერის იჯარა ტაბაწყურის ტბაში. სიტყვიერად და წერილობით პირობათა განცხადება შეიძლება მხოლოდ ამ წლის 15 ენკენისთვემდე.

დაწვრილებით პირობათ შეტყობა შეიძლება ყოველდღე მამულების კანტორაში. (3—106—2)

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმართლის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა - სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |

---

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

### ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარათაშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლია, დ. კარიჭაშვილისა . . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ქიები ი. თ. . . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . . | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 22-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ბრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.